

კალკულაციის სექცია

კალკულაციის სექცია მოიცავს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში შეტანილ ეპიზოდებზე ფინანსური ინფორმაციის დამატებას. კალკულაციის სექცია წარმოადგენს EHR სისტემის მენეჯერის მოდულის ერთ-ერთ მთავარ სექციას და შედგება სხვადასხვა ველებისაგან.

კალკულაციის სექციაზე ხელის დაჭერით სისტემაში გაჩნდება აღნიშნული კლინიკის ფარგლებში არსებული ეპიზოდების ჩამონათვალი, რომელთა გაფილტვრაც შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმ(ებ)ის მიხედვით (მაგ. ეპიზოდის თვე, წელი, პასუხისმგებელი პირი, ეპიზოდის კოდი, ისტორიის ნომერი, ქეისის ნომერი, პაციენტის პ/ნ) (იხ. სურ. 1).

კონკრეტული ეპიზოდის მოძებნის შემდგომ, კურსორის ეპიზოდზე მიტანით და მარჯვენა ღილაკზე დაჭერით ირჩევთ „ნახვას“ ან „რედაქტირებას“, რომლის შემდეგაც იხსნება ახალი ფანჯარა აღნიშნული კონკრეტული ეპიზოდის დეტალურად ჩაშლილი კალკულაციით (იხ. სურ. 1).

ეპიზოდის კოდი	სამედიცინო მომსახურების ტიპი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ექიმის სახელი და გვარი	ისტორიის ნომერი	ქეისის ნომერი
5591777	სტაციონარი	2021-01-01 00:00	2021-01-15 00:00	გვარი 1 სატესტო 1	12312312313	1

სურათი 1

თანხის ჯამი სულ - აღნიშნული ველში ჩანს კონკრეტულ ეპიზოდში დამატებული დეტალური ხარჯების მთლიანი ჯამი, ხოლო მის ქვეშ უკვე შევსებულ ფორმატში ჩანს აღნიშნული ეპიზოდის დეტალები, როგორცაა პაციენტის პ/ნ, სახელი და გვარი, ისტორიის ნომერი, შემთხვევის ნომერი, შემოსვლა-გასვლა და ორგანიზაციის დასახლება (კლინიკის სახელი) (იხ. სურ. 2).

პაციენტის პნ	სახელი გვარი	ისტორიის ნომერი
შემთხვევის ნომერი	შემოსვლა-გასვლა	ორგანიზაციის დასახელება
	2019-09-08 - 2019-09-10	სამინისტროს სატელეო პროვაიდერი

შენახვა

სურათი 2

ძირითადი/თანმხლები დაავადებები - აღნიშნულ სექციაში ექიმის გვერდიდან ავტომატურად გადმოდის ამ პაციენტისთვის აღნიშნული კონკრეტული ეპიზოდის ფარგლებში ექიმ(ებ)ის მიერ მითითებული ძირითადი დაავადებ(ებ)ის, თანმხლები დაავადებ(ებ)ისა და დაავადების გართულებების ჩამონათვალი შესაბამისი ICD-10 კლასიფიკატორის მიხედვით (იხ. სურ. 3).

ძირითადი/თანმხლები დაავადებები	
დაავადების ტიპი	დაავადება
ძირითადი დაავადება	(K40.3)ცალმხრივი ან დაუზუსტებელი საზარდულის თიქსარი გაუვალობით განგრენის გარეშე


სურათი 3

პირდაპირი ხარჯები

პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი - აღნიშნულ სექციაში შეტანილი უნდა იქნას ეპიზოდის ფარგლებში ჩართული სამედიცინო პერსონალის ღირებულებები. ფიქსირებული ხელფასის ნაწილი შეტანილი უნდა იქნას ერთ ეპიზოდზე გადაანგარიშებით, ხოლო ცვლადი ნაწილი - უშუალოდ აღნიშნულ ეპიზოდზე გაცემული წილით. ღირებულება „დამატება“ დაჭერით გადმოდის სამი დამატებითი ველი (იხ. სურ. 4):

- **მოვლა** - მიეთითება მოვლის რომელ ტიპში ემატება კონკრეტული პერსონალის ხელფასი (თერაპიული, ინტენსიური, რეანიმაციული, ქირურგიული);

- **პერსონალი** - რომელი ტიპის პერსონალზე ვამატებთ ხელფასს (მკურნალი ექიმი, ექთანი, ოპერატორი, ასისტენტი 1, საოპერაციო მედდა, ანესთეზიოლოგი, ანესთეზიის მედდა, კონსულტანტი);
- **თანხა** - მიეთითება თანხა, რომლითაც ანაზღაურდა კონკრეტული პერსონალი კონკრეტული მოვლის ტიპისა და აღნიშნული ეპიზოდის ფარგლებში.



სურათი 4


თუ სისტემაში შეტანილი კონკრეტული პროცედურის/გამოკვლევის თანხაში უკვე გათვალისწინებულია სერვისის მიმწოდებელი პერსონალის ანაზღაურება, ასეთი პერსონალის თანხები სექციაში „პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი“ დამატებით აღარ უნდა იქნას შეტანილი.

ასეთი მეთოდით შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის პერსონალის დამატება, რის შედეგადაც შეიქმნება ჩამონათვალი და სექციის ჯამში გამოჩნდება სულ პერსონალის ხელფასზე დახარჯული თანხა აღნიშნული ეპიზოდის ფარგლებში. ერთიდაიგივე პოზიციის მქონე პერსონალის ეპიზოდის ფარგლებში რამდენჯერმე განმეორების შემთხვევაში, თითოეული სამედიცინო პერსონალის ხელფასი უნდა მიეთითოს ცალ-ცალკე.

სამედიცინო საგნები - აღნიშნულ სექციაში შეტანილი უნდა იქნას ეპიზოდის ფარგლებში დახარჯული სამედიცინო საგნების ჩამონათვალი და მათი ხარჯები. დილაკზე „დამატება“ დაჭერით გამოდის დამატებითი ველები (იხ. სურ. 5):

- **მოვლა** - მიეთითება მოვლის რომელ ტიპში გაიხარჯა კონკრეტული სამედიცინო საგანი (თერაპიული, ინტენსიური, რეანიმაციული, ქირურგიული);

- **კოდი** - დილაკზე „აირჩიეთ“ დაჭერით ჩნდება ახალი ფანჯარა სამედიცინო საგნების ჩამონათვალით და შესაძლებელია კონკრეტული სახეობის მოძებნა.
- **აღწერა** - ემატება ავტომატურად.
- **რაოდენობა** - მიეთითება კონკრეტული სამედიცინო საგანი რა რაოდენობით იქნა გამოყენებული.
- **ერთეულის ფასი** - თითო საგნის ფასი.
- **თანხა** - მითითებული რაოდენობისა და ერთეულის ფასის ერთმანეთზე გადამრავლებით თანხა ავტომატურად ჯდება უჯრაში.



სურათი 5

კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევა - აღნიშნულ სექციაში არსებული კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩამონათვალის ავტომატურად გადმოღის ექიმის გვერდიდან. საჭიროა რომ თითოეულ გამოკვლევაზე მარჯვენა მხარეს არსებულ რედაქტირებად დილაკზე დაჭერით დაემატოს კონკრეტული გამოკვლევის თანხა (იხ. სურ. 6).

ვინაიდან ექიმის გვერდზე ერთიდაიგივე გამოკვლევის რამდენიმეჯერ ჩატარების შემთხვევაში უნდა დაემატოს ყველა გამოკვლევა ცალ-ცალკე თავიანთი შედეგებით, კალკულაციის სექციაში ერთიდაიგივე გამოკვლევაზე საჭიროა ცალ-ცალკე მიეთითოს თანხები.

სურათი 6

თუ სისტემაში შეტანილ კონკრეტული კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევის თანხაში უკვე გათვალისწინებულია სერვისის მიმწოდებელი პერსონალის ანაზღაურება, ასეთი პერსონალის თანხები სექციაში „პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი“ დამატებით აღარ უნდა იქნას შეტანილი.

სისხლის გადასხმა - აღნიშნულ სექციაში არსებული ჩამონათვალი ავტომატურად გადმოდის ექიმის გვერდიდან. საჭიროა რომ თითოეულ გადასხმაზე მარჯვენა მხარეს არსებულ რედაქტირებად ღილაკზე დაჭერით დაემატოს კონკრეტული პროცედურის თანხა .

თუ სისტემაში შეტანილ კონკრეტული სისხლის გადასხმის თანხაში უკვე გათვალისწინებულია სერვისის მიმწოდებელი პერსონალის ანაზღაურება, ასეთი პერსონალის თანხები სექციაში „პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი“ დამატებით აღარ უნდა იქნას შეტანილი.

ლაბორატორიული გამოკვლევები - აღნიშნულ სექციაში არსებული ჩამონათვალი ავტომატურად გადმოდის ექიმის გვერდიდან. საჭიროა რომ თითოეულ გამოკვლევაზე მარჯვენა მხარეს არსებულ რედაქტირებად ღილაკზე დაჭერით დაემატოს გამოკვლევის თანხა.

ვინაიდან ექიმის გვერდზე ერთიდაიგივე გამოკვლევის რამდენიმეჯერ ჩატარების შემთხვევაში უნდა დაემატოს ყველა გამოკვლევა ცალ-ცალკე თავიანთი შედეგებით, კალკულაციის სექციაში ერთიდაიგივე გამოკვლევაზე საჭიროა ცალ-ცალკე მიეთითოს თანხები.

თუ სისტემაში შეტანილ კონკრეტული **ლაბორატორიული გამოკვლევის** თანხაში უკვე გათვალისწინებულია სერვისის მიმწოდებელი პერსონალის ანაზღაურება, ასეთი პერსონალის თანხები სექციაში „**პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი**“ დამატებით აღარ უნდა იქნას შეტანილი.


კონსულტაციები - აღნიშნულ სექციაში არსებული ჩამონათვალი ავტომატურად გადმოდის ექიმის გვერდიდან. საჭიროა რომ თითოეულ კონსულტაციაზე მარჯვენა მხარეს არსებულ რედაქტირებად ღილაკზე დაჭერით დაემატოს კონსულტაციის თანხა.

თუ სისტემაში შეტანილ კონკრეტული **კონსულტაციის** თანხაში უკვე გათვალისწინებულია სერვისის მიმწოდებელი პერსონალის ანაზღაურება, ასეთი პერსონალის თანხები სექციაში „**პროცედურაში მონაწილე პერსონალის ხელფასი**“ დამატებით აღარ უნდა იქნას შეტანილი.

მედიკამენტები - აღნიშნულ სექციაში არსებული ჩამონათვალი ავტომატურად გადმოდის ექიმის გვერდიდან. საჭიროა რომ თითოეულ მედიკამენტზე მარჯვენა მხარეს არსებულ რედაქტირებად ღილაკზე დაჭერით დაემატოს კონკრეტული მედიკამენტის თანხა.

კვება - აღნიშნულ სექციაში უნდა დაემატოს ეპიზოდის ფარგლებში პაციენტის კვებაზე დახარჯული თანხა. ღილაკზე „დამატება“ დაჭერით გამოდის დამატებითი ველები (იხ. სურ. 7):

- **მოვლა** - მიეთითება მოვლის რომელ ტიპში მოხდა კვების ხარჯვა (თერაპიული, ინტენსიური, რეანიმაციული, ქირურგიული);
- **თანხა** - მიეთითება თანხა, რომლითაც ანაზღაურდა კვება კონკრეტული მოვლის ტიპისა და აღნიშნული ეპიზოდის ფარგლებში.




სურათი 7

პირდაპირი ხარჯების ყველა სექციის შევსების შემდეგ „სულ ჯამში“ ჩანს ყველა ველში შეტანილი პირდაპირი თანხის ჯამი.

არაპირდაპირი ხარჯები

ადმინისტრაციის ხელფასი - აღნიშნულ სექციაში ემატება ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის მთლიანი დარიცხული ხელფასის ის პროპორციული წილი, რომელიც მოდის კონკრეტულ ეპიზოდზე. დილაკზე „დამატება“ დაჭერით გამოდის დამატებითი ველები (იხ. სურ. 8):

- **აღწერა** - საჭიროების შემთხვევაში ემატება კონკრეტული დანახარჯის აღწერა.
- **თანხა** - მიეთითება თანხა.



სურათი 8

ოპერირების ხარჯები - აღნიშნული სექცია მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვისაა საჭიროა (გარდა კალკულაციის სექციაში არსებული ხარჯებისა, რომელიც ცალკეა გამოყოფილი). სექციაში ემატება მთლიანი საოპერაციო ხარჯის ის პროპორციული წილი, რომელიც მოდის კონკრეტულ ეპიზოდზე. დილაკზე „დამატება“ დაჭერით გამოდის დამატებითი ველები:

- **აღწერა** - საჭიროების შემთხვევაში ემატება კონკრეტული დანახარჯის აღწერა.
- **თანხა** - მიეთითება თანხა.

უძრავი ქონების ამორტიზაცია/ცვეთა - აღნიშნული სექცია მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე დარცხნული თვეზე გადაანგარიშებული ფინანსური ცვეთის ის პროპორციული წილი, რომელიც მოდის კონკრეტულ ეპიზოდზე.

მაგალითად: წლის დასაწყისში უძრავი ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 10 მილიონ ლარს. წლის დარიცხული ფინანსური ცვეთა შეადგენს 700 000 ლარს (7%), ხოლო თვეზე გადაანგარიშებით - 58 333 ლარს (700 000/12), კონკრეტული ეპიზოდი წარმოადგენს კლინიკაში გაწეული მთლიანი მომსახურების 0.1%-ს, შესაბამისად კონკრეტული ეპიზოდის უძრავი ქონების ამორტიზაციის ხარჯის წილი წარმოადგენს 58.33 ლარს (58 333*0.1).

დანარჩული საოპერაციო ხარჯები. დილაკზე „დამატება“ დაჭერით გამოდის დამატებითი ველები:

- **ქონების აღწერა** - საჭიროების შემთხვევაში ემატება ქონების აღწერა სიტყვიერად.
- **თანხა** - მიეთითება თანხა.

სამედიცინო აღჭურვილობის ამორტიზაცია/ცვეთა - აღნიშნული სექცია მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე დარიცხული თვეზე გადაანგარიშებული ფინანსური ცვეთის ის პროპორციული წილი, რომელიც მოდის კონკრეტულ ეპიზოდზე. დილაკზე „დამატება“ დაჭრით გამოდის დამატებითი ველები:

- **ქონების აღწერა** - საჭიროების შემთხვევაში ემატება ქონების აღწერა სიტყვიერად.
- **თანხა** - მიეთითება თანხა.

არასამედიცინო აღჭურვილობის ამორტიზაცია/ცვეთა - აღნიშნული სექცია მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ყველა იმ დანარჩენ აღჭურვილობას, რომელსაც ერიცხება ფინანსური ცვეთა. შესაბამისად უნდა მიეთითოს არასამედიცინო აღჭურვილობის ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე დარიცხული თვეზე გადაანგარიშებული ფინანსური ცვეთის ის პროპორციული წილი, რომელიც მოდის კონკრეტულ ეპიზოდზე. დილაკზე „დამატება“ დაჭრით გამოდის დამატებითი ველები:

- **ქონების აღწერა** - საჭიროების შემთხვევაში ემატება ქონების აღწერა სიტყვიერად.
- **თანხა** - მიეთითება თანხა.

ფასნამატი

ფასნამატი - ემატება კონკრეტული ეპიზოდის ნაწილში ფასნამატის ის პროპორციული წილი, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კლავწარმოების შესაძლებლობას (იხ. სურ. 9).

შენახვა

• ძირითადი/თანხაღები დაავადებები	
• პირადი/პირი ხარჯები	სულ ზაზი : 94.23ლ
• არაპირადი/პირი ხარჯები	სულ ზაზი : 0.00ლ
• ფასნაზაზი	სულ ზაზი : 0.00ლ

ფასნაზაზი

შენახვა

სურათი 9

ყველა სექციაში ყველა საჭირო ველის შევსების შემდეგ საჭიროა ზედა მარჯვენა დილაკზე „კალკულაციის დასრულება“ დაჭერა, რომლის შემდეგაც გამოდის შეტყობინება გამოტოვებული ველების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ხდება გამოტოვებული ველების შევსებაც და შემდეგ შესაძლებელია კიდევ ერთხელ იმავე დილაკზე დაჭერით კალკულაციის საბოლოოდ დასრულება (იხ. სურ. 10). დასრულებული კალკულაციის რედაქტირება შეუძლებელია, თუმცა სისტემის ტესტირების რეჟიმში მუშაობის პერიოდში აღნიშნული ფუნქცია დროებით გათიშულია.

თანხის ზაზი სულ : 94.23 ლ

კალკულაცია

კალკულაციის დასრულება

კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევა

თვალბუდის და ოპტიკური არხის რენტგენოლოგიური გამოკვლევა
თანხა
შინაყები ცარიელია ან არის წელი. რეკომენდირებულია შევსება

პერნოტრაფია (თაქრის რენტგენოტრაფია)
თანხა
შინაყები ცარიელია ან არის წელი. რეკომენდირებულია შევსება

სისხლის გადასხმა

გრიტორფიკული შახა
თანხა
შინაყები ცარიელია ან არის წელი. რეკომენდირებულია შევსება

გრიტორფიკული შახა
თანხა
შინაყები ცარიელია ან არის წელი. რეკომენდირებულია შევსება

შეზღუდვა

დასრულება

სურათი 10